საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N3
(საფუძველი: ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/90 ბრძანება)

ქ. ბათუმი 10.07.2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **თამარ სირაძე** - რექტორის მოადგილე, თავმჯდომარე;
2. **მადონა მიქელაძე** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, წევრი;
3. **ამირან შარაძე** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
4. **მამუკა გოგელია** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, მდივანი.

დღის წესრიგი:

1. 2024 წელს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/90 ბრძანებით გამოცხადებული პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის მონაწილეთა საბუთების შესწავლა/შერჩევა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ თამარ სირაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ივნისის N01-02/90 ბრძანებით გამოცხადებულ პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) 2024 წლის 01 ივლისიდან 2024 05 ივლისის ჩათვლით სულ შემოვიდა 5 განცხადება.

კონკურსში მონაწილე პირები:

1. სოფო ძირკვაძე;
2. ნინო ცინცაძე;
3. თამილა ქარცივაძე;
4. დავით კონცელიძე;
5. ნინო ბოლქვაძე.

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნო კონკურსანტების საბუთებს.
ყველა კონკურსანტის საბუთები აკმაყოფილებდა საკონკურსო პირობებს.

დაადგინეს:

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები შესაბამისობაშია კონკურსის ძირითად პირობებთან;
2. კონკურსში მონაწილე პირები (სოფო ძირკვაძე, ნინო ცინცაძე, თამილა ქარცივაძე, დავით კონცელიძე, ნინო ბოლქვაძე) დაშვებული იქნას გასაუბრებაზე;
3. კონკურსანტებს ჩაუტარდეს გასაუბრება შემდეგი განრიგის მიხედვით:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა გასაუბრების განრიგი

N	პრეტენდენტის სახელი და გვარი	გასაუბრების ჩატარების დრო	
		11 ივლისი 2024 წელი	
1	სოფო ძირკვაძე	12:15	12:30
2	ნინო ცინცაძე	12:30	12:45
3	თამილა ქარცივაძე	12:45	13:00
4	დავით კონცელიძე	13:00	13:15
5	ნინო ბოლქვაძე	13:15	13:30

გასაუბრების ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-6 კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N305.

4. საკონკურსო კომისიის მდივანმა უზრუნველყოს კონკურსანტების ინფორმირება გასაუბრების განრიგის შესახებ CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის წევრები:

საკონკურსო კომიის თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე, პროფესორი — **თამარ სირაძე**

ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი, წევრი — **მადონა მიქელაძე**

ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი — **ამირან შარაძე**

ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სხდომის მდივანი — **მამუკა გოგელია**